07/09/2026

MES 3 26 0001195617

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.08.2026
სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 15:12 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი (I, II, III, IV, V, VI, VII, IX და X საკითხები)
საბჭოს მდივანი: ქეთევან აფთარაშვილი (VIII საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ლევან შავაძე – სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;

2. ნინო ხოლუაშვილი – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ვაჟა კელიხაშვილი – ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;
4. ქეთევან აფთარაშვილი – შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5. პეტრე ბაბილუა – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6. მარიამ ხოფერია – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი;
7. მარინე რუხაძე – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. ვალერიან გობრონიძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
9. შალვა კელეპტრიშვილი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
10. ლია სანოძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;
11. ხათუნა ლომაური – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
12. ინგა დიასამიძე – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. სალომე ტყეშელაშვილი - სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი;
14. მაია ბარბაქაძე – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
15. ფრიდონ გოგიაშვილი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
16. თინათინ გოგნაძე – შპს ევროპის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
17. თამარ მერაბიშვილი – შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს პროფესორი;
18. თეა ნარეკლიშვილი – შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
19. ლევან ციცქიშვილი – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
20. გიორგი წანაწყენიშვილი – შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
21. ეკატერინე ჭალაგანიძე – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
22. თამარ ხურცილავა – შპს აიქიუ კლინიკის გენერალური მენეჯერი, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
23. დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი:

- ვახტანგ ლეჟავა — რექტორი;
- მარინა ქარჩავა — პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში;
- რევაზ ხოფერია — სამართლის სკოლის დეკანი, პროგრამების ხელმძღვანელი;
- მარიამ ჯაფარიძე — საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი;
- მარიამ მოქია — ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- გიორგი ირემაშვილი — ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- ნანა სააკაშვილი — ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- ვლადიმერ ღლონტი — ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი;
- ქეთევან დოლიძე — პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
- დავით ბარათაშვილი — პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
- თეა ქოიავა — ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფესორი.

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი:

- ლევან ტვილდიანი — რექტორი;
- ნინო თაბაგარი — მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
- თამარ თალაკვაძე — ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ნინო გიორგაძე — იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:

- არჩილ ჯანგირაშვილი — ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- მარიამ ჯანჯარია — პროგრამის ხელმძღვანელი;
- მაია ამაშუკელი — ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
- ნინო დევიძე — ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის მენეჯერი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

- ივანე ჯაგოდნიშვილი — ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ზურაბ გვიშიანი — სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი;
- ზურაბ ციცქიშვილი — სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ირაკლი ბუიშვილი — „სამხედრო ინჟინერიის" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- გიორგი ჭიჭინაძე — ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მირანდა მნაცაკანიანი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ზაზა სოხაძე — "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ტარიელ ქემოკლიძე — მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- ტრისტან გულბიანი — რექტორი;
- ჯემალ ძაგანია — პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებით;
- ვასილ ლიპარტელიანი — სპორტის მენეჯმენტის და ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი; საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი;
- მაია ხურცილავა — ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი:

- დავით ტეფნაძე — რექტორის პირველი მოადგილე;
- ნინო ღაჭავა — ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

- გოდერძი ბუჩაშვილი — ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციული მიმართულებით;
- ნონა ზუმბაძე — ხარისხის აუდიტი;
- ანა გვრიტიშვილი — ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ნინო ჯოჯუა — პრეზიდენტის მრჩეველი ხარისხის მიმართულებით;
- მარიკა კლდიაშვილი — ბიზნესის სკოლის დეკანი;
- თეა კბილცეცხლაშვილი — აფილირებული ასოცირებული პროფესორი, პროგრამების ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

- ბერტელ ჯერმეინ დე გრუტი (Bertel Germaine De Groote) (I საკითხი);
- ნინო მესხიშვილი (I საკითხი);
- ეკა კაველიძე (I საკითხი);
- ნინო ბოგვერაძე (I საკითხი);
- ნინო პატარაია (I, VI, VIII, IX და X საკითხები);
- ლიანა ზაგაშვილი (I საკითხი);
- მაგდა ალანია (II საკითხი);
- დავით ჯიქია (III საკითხი);
- გიორგი ტეფნაძე (IV საკითხი);
- გიორგი თუთბერიძე (IV საკითხი);
- ნინო ქიმერიძე (V საკითხი);
- ეკა ლეკაშვილი (VI საკითხი);
- ნათია დაღელიშვილი (VI, VII, IX და X საკითხები);
- დავით სიხარულიძე (VII საკითხი);
- მამუკა ბენაშვილი (VIII საკითხი);

- თამარ კბილაძე (IX და X საკითხები).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო და "ბიზნესის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის (ეპდს)" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამხედრო ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
9. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის მიზნით განხორციელებული აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

2026 წლის 14 აგვსიტოს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვა გადაიდო 2026 წლის 21 აგვსიტოსათვის. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო შუამდგომლობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი შპს - კავკასიის უნივერსიტეტის წერილი. საგანმანათლებლო დაწესებულება განმარტავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის დეკანი ვერ ახერხებდნენ სხდომაზე დასწრებას და ითხოვდა საკითხი პირველი სექტემბრის შემდგომ საბჭოზე განხილულიყო. საბჭოს წევრებმა გაითვალისწინეს აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი დაამტკიცეს უცვლელი სახით.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო და "ბიზნესის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის (ეპდს)" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამხედრო ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
9. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის მიზნით განხორციელებული აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო და "ბიზნესის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართალი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს კოდი: სამართალი 0421;
კრედიტების რაოდენობა: 200 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის სამართალი;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: I ნაწილი - კერძო სამართლის მაგისტრი; II ნაწილი - კვლევის მაგისტრი კერძო
სამართალში;
დეტალური სფეროს კოდი: სამართალი 0421;
კრედიტების რაოდენობა: I ნაწილი - 68 ECTS; II ნაწილი - 60 ECTS

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ბერტელ ჯერმეინ დე გრუტმა, აღნიშნა, რომ ექსპერტებმა განიხილეს 2 საგანმანათლებლო პროგრამა - "სამართლის" საბაკალავრო და "ბიზნეს სამართლის" სამაგისტრო. ვიზიტის განხორციელებისას ჩატარდა ინტერვიუები და ამის საფუძველზე მიიღო ექსპერტთა გუნდმა გადაწყვეტილება. ექსპერტებისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ისე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ორივე პროგრამასთან მიმართებით დადგინდა, რომ ისინი შეესაბამებიან დადგენილ სტანდარტებს. პროგრამები ყველა სტანდარტს აკმაყოფილებენ,

გარდა 1.4 კომპონენტისა. ის მეტწილად შესაბამისია სტანდარტებთან. აღნიშნულ პროგრამასთან იმართებით, ექსპერტებმა იმუშავეს კომპლექსურად, ასევე გაიზიარეს პროგრამის ხელმძღვანელების და მათში ჩართული მონაწილე პირების მოსაზრებები და შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები. რეკომენდაცია ეხება ადამიანური რესურსების სტანდარტს. ექსპერტებს გაუჭირდათ CV-ების მიხედვით პერსონალის მონაცემების შეფასება. შესაბამისად, რეკომენდებულია, პერსონალის წევრთა რეზიუმეების ჰარმონიზაცია გამჭვირვალობისა და მათი შედარების მიზნით. ასევე, რეკომენდებულია, რომ რეზიუმეები (CV) ადამიანური რესურსების პოლიტიკის ღირებულ ინსტრუმენტად გარდაიქმნას. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გადამოწმდეს CV-ები, კონკრეტული აკადემიური თანამდებობების დაკავებისა და შენარჩუნების მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უნდა შემოწმდეს რამდენად მოხდა CV-ების გადახედვა და შესწორება. იყო მეორე რეკომენდაციაც, რომელიც შემდგომ შეთავაზებად ჩამოყალიბდა. სამართლის პროგრამაში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პრაქტიკული დატვირთვა აქვს. დაწესებულებამ კიდევ ერთხელ უნდა გადახედოს და შეაფასოს პერსონალის რაოდენობა. რეზიუმეების ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ დიდი რაოდენობით არიან მოწვეული ლექტორები. კურსი კვლევაზე დაფუძნებულია, თუმცა ბალანსი უნდა იყოს დაცული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა რაოდენობასთან მიმართებით. ასევე, პერსონალის განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ აუცილებლად იყოს ჩართული ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი თვითგანვითარების გეგმაში. შეფასებისას, მნიშვნელოვანია ლექტორების უკუკავშირიც. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კარგი იქნებოდა, თუ ჩამოყალიბდება საგამომცემლო ჟურნალი, სადაც სტუდენტები შეძლებენ თავიანთი კვლევების გამოქვეყნებას. ასევე, რჩევის სახით წარმოითქვა, რომ სასურველია მონიტორინგი განხორციელდეს სტუდენტთა მონიტორინგის ნაწილში. ეს მნიშვნელოვანია განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამაში კულტურის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ლეჟავამ, აღნიშნა, რომ თავისუფალ უნივერსიტეტს აქვს ავტორიზაცია, რომელიც მიენიჭა ერთი წლის წინ და კომპლექსურად იქნა შეფასებული ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რომლებიც შეფასდა დადებითად. ასევე, თავისუფალ უნივერსიტეტს არ აქვს და არც პრეტენზია გააჩნია იმაზე, რომ ჰქონდეს სადოქტორო პროგრამა სამართლის სფეროში. დაწესებულება ამზადებს იმ სტუდენტებს, რომლებიც არიან პრაქტიკაზე ორიენტირებულები. ამას ხელს უწყობს ახალი რეგულაციები, შეიკვეცა საბაკალავრო პროგრამა და გაიყო მაგისტრატურა. დაწესებულებამ წარადგინა ორივე პროგრამა საბჭოზე. რაც შეეხება CV-ებს, მხოლოდ მათი მეშვეობით არ ხდება კომპეტენციების დადგენა, არც სასწავლო პროცესის მართვა და არც აკადემიურ თანამდებობებზე გამწესება პირების. შესაბამისად, დაწესებულება ვერ ხედავს ამ ნაწილში რა არის გასაუმჯობესებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რევაზ ხოფერიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულება ექსპერტთა მოსაზრებებს ეთანხმება, თუმცა, მნიშვნელოვანია ის, რომ არსებობს მხოლოდ ერთი რეკომენდაცია და დანარჩენი ყველაფერი არის რჩევა. დაწესებულება მიიჩნევს, რომ არსებული CV-ების საშუალებითაც დადგენადია, თუ რომელ წევრს აქვს დოქტორის ხარისხი და რომელს არა. დაწესებულება უნიფიცირების საჭიროებას ვერ ხედავს, თუმცა იზიარებს რეკომენდაციას და ამ საკითხს გაივლის თავიდან. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, დაწესებულებაში არსებულ ყველა პერსონალს აქვს ევროპული განათლება და აქტიური კავშირი ევროპის უნივერსიტეტებთან. პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი იურისტებით დაყოფა რთულია, რადგან ყველა პრაქტიკოსს აქვს ძალიან კარგი სამეცნიერო და თეორიული "ბექრაუნდი". არ არსებობს პრაქტიკოსი კარგი თეორიული ცოდნისა და "ბეგრაუნდის" გარეშე და პირიქით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, შალვა კელეპტრიშვილმა, აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამა მოიცავს ოთხ ბლოკს, რომელთა ჯამური მოცულობა 240 კრედიტია. ამასთან, პროგრამაში წარმოდგენილია კიდევ ერთი ბლოკი, სახელწოდებით „სამართლის ნებაყოფლობითი არჩევითი საგნები“. მას აინტერესებდა, აღნიშნული ბლოკის საგნები არჩევის შემთხვევაში შედის თუ არა 240 კრედიტის ფარგლებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რევაზ ხოფერიამ, აღნიშნა, რომ ეს საგნები 240 კრედიტის ფარგლებშია გათვალისწინებული. თუმცა, მისივე განმარტებით, პროგრამა უკვე შეკვეცილია და მომდევნო წლიდან 240-კრედიტიანი აღარ იქნება.
საბჭოს წევრმა, შალვა კელეპტრიშვილმა, აღნიშნა, რომ თუ სტუდენტი აირჩევს 6-კრედიტიან საგანს, არჩევითობის პრინციპი გარკვეულწილად იკარგება, რადგან ბლოკში ასევე წარმოდგენილია 3- და 4-კრედიტიანი საგნები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განახლებულ კურიკულუმში წარმოდგენილია 4 და 5 კრედიტიანი საგნები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ლეჟავამ, აღნიშნა, რომ აუცილებელი არ არის საგნების კრედიტები ერთმანეთის ჯერადი იყოს. სტუდენტმა არჩევითი საგნებიდან მინიმუმ 15 კრედიტი უნდა დააგროვოს, თუმცა თუ საბოლოოდ 16 კრედიტი გამოუვა, ეს პრობლემას არ წარმოადგენს.
შალვა კელეპტრიშვილმა ბაკალავრიატის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში განსაზღვრულია 15 შედეგი. მათგან 5 შედეგი იწყება ზმნით „იცის“, ხოლო 2 შედეგი იწყება ფორმულირებით „აცნობიერებს და იცის“. მას აინტერესებდა, შესაძლებელი ხომ არ იქნებოდა აღნიშნული შედეგების გამსხვილება და უფრო კომპაქტურად ჩამოყალიბება, ვინაიდან ერთი და იმავე ზმნით 5, 6 და 7 შედეგის დაწყება ერთფეროვან შთაბეჭდილებას ტოვებს.
რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ შედეგები უკვე შეკვეცილი სახით არის წარმოდგენილი. მისივე თქმით, წარმოდგენილი პროგრამა არის ის ვერსია, რომელზეც დაწესებულებას უკვე აქვს შეთანხმება.
შალვა კელაპტრიშვილმა, სწავლის შედეგების რუკასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ 15-17 სასწავლო კურსი ერთ სწავლის შედეგს უკავშირდება. საველე პრაქტიკა კი პირველ შედეგზე გადის. მას აინტერესებდა, როგორ შეიძლებოდა საველე პრაქტიკა მხოლოდ ცოდნასთან დაკავშირებულ შედეგზე ყოფილიყო მიბმული.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ მოქიამ, აღნიშნა, რომ საველე პრაქტიკა ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსია და აღნიშნული შედეგიც სწორედ ზოგადსაუნივერსიტეტო საგანთა ბლოკს მიემართება. მისივე განმარტებით, ეს შედეგი უნივერსიტეტს ადრეც ჰქონდა და აკრედიტაციის პროცესში მასთან დაკავშირებით პრობლემა არ შექმნილა.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ზოგადსაუნივერსიტეტო საგანთა ბლოკი მოიცავს ისეთ საგნებს, რომლებიც სამართლის სტუდენტებისთვის სპეციფიკური არ არის, შესაბამისად, ეს საგნები არ უნდა აირიოს სამართლის სპეციალიზებულ სასწავლო კურსებში.
შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების პირველ დანართში პროგრესიასთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები გაუჩნდა. პირველ, მეორე და მესამე მიღებაზე პროგრესია გაწერილია 3 წელზე, მაშინ როდესაც პროგრამა 2-წლიანია. ბაკალავრიატის შემთხვევაში პროგრესია 5 წელზეა გაწერილი, მაშინ როცა პროგრამა 4-წლიანია. ამასთან, 2025 წელს ჩარიცხულ სტუდენტებთან დაკავშირებით იმავე წელს კურსდამთავრებულებიც არიან მითითებული. აქედან გამომდინარე, მას აინტერესებდა, რამდენად სწორად იყო ეს ინფორმაცია წარმოდგენილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ქარჩავამ, აღნიშნა, რომ ინფორმაცია სწორად არის წარმოდგენილი. მისი განმარტებით, კურსდამთავრებულთა რაოდენობის მითითება იმით არის

განპირობებული, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია, კონკრეტულ წელს რამდენმა სტუდენტმა დაასრულა სწავლა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კურსზე სწავლობდა ის მანამდე.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს ფაქტობრივ სტატისტიკას და არა პროგნოზს.
შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრესიის მონაცემებში პირველი მიღების ბოლოს მითითებულია კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი და წარმოდგენილია ინდიკატორი, რომელიც ასახავს, ჩარიცხული სტუდენტების რამდენმა პროცენტმა დაასრულა პროგრამა შესაბამისი საფეხურისა და კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების ფარგლებში. შესაბამისად, განხილულია თითოეული წელი ცალ-ცალკე.
მარინა ქარჩავამ აღნიშნა, რომ საკითხი ასე არ არის და პროცესი სწორედ იმ ფორმით ხორციელდება, როგორც მან განმარტა.
აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, ნინო ხოლუაშვილმა, ორ სასწავლო კურსთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. კითხვა ეხებოდა ბიზნესკლინიკის სილაბუსს. სილაბუსის მიხედვით, პრერეკვიზიტებად განსაზღვრულია პროცესი და სამეწარმეო სამართალი, თუმცა სილაბუსის ფარგლებში მისაღები ცოდნა პროფესიულ ეთიკასაც მოიცავს. ამასთან, სილაბუსით განსაზღვრულია, რომ სავალდებულო მასალას თითოეული დავალებისთვის თავად ლექტორი განსაზღვრავს. მისი აზრით, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები სრულად არის გასათვალისწინებელი და აინტერესებდა, რატომ არ იყო ისინი შესაბამისი ფორმით ასახული. ასევე, სამეწარმეო სამართალი როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე ერთსა და იმავე სახელწოდებით არის წარმოდგენილი, ხოლო თემატიკის მნიშვნელოვანი ნაწილი თითქმის იდენტურია. მას აინტერესებდა, რა ლოგიკით იყო შეთავაზებული აღნიშნული საგნები ორივე საგანმანათლებლო საფეხურზე.
რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ ეთიკის ცოდნა აუცილებელია იურისტისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის პრაქტიკულ საქმიანობაში ერთვება, და სწორედ ამიტომ წარმოადგენს კლინიკური სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. რაც შეეხება სასწავლო კურსებს, სამაგისტრო პროგრამაში სამეწარმეო სამართლის თემატიკა შესაძლოა ნაწილობრივ ემთხვეოდეს საბაკალავრო პროგრამის თემატიკას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სწავლება ერთი და იმავე სიღრმით მიმდინარეობს. მისი განმარტებით, საბაკალავრო პროგრამაზე აქცენტი კეთდება საფუძვლიანი ცოდნის მიღებაზე, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე - სიღრმისეულ ანალიზზე. ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამართლის სკოლა განვითარებულია, შესაბამის სფეროებში მრავალფეროვანი ლიტერატურის არჩევანი შეზღუდულია, ამიტომ ლიტერატურის ნაწილობრივი გამეორება არ ნიშნავს სწავლების ერთსა და იმავე დონეს.
მარიამ მოქიამ აღნიშნა, რომ სილაბუსებში როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე მითითებულია, რომ სასწავლო მასალას ლექტორი განსაზღვრავს. მისი განმარტებით, სამაგისტრო საფეხურზე გარკვეული ლიტერატურა შესაძლოა მეორდებოდეს, თუმცა ის უფრო ფართო და გაღრმავებული მოცულობით არის წარმოდგენილი და უშუალოდ იდენტური გამეორების შემთხვევები არ ფიქსირდება.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ნინო მესხიშვილმა, აღნიშნა, რომ სამეწარმეო და ვალდებულებითი სამართლის თემატიკა საკმაოდ დეტალურად არის გაშლილი.
აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, მარიამ ხოფერიამ, აღნიშნა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში ქართულენოვანი ლიტერატურა საერთოდ არ არის მითითებული, მიუხედავად იმისა, რომ სწავლების ენად ქართულია განსაზღვრული. ერთ-ერთ სასწავლო კურსში, „ლიტერატურა და ხელოვნება“, ლიტერატურა საერთოდ არ იყო მითითებული და მხოლოდ აღნიშნული იყო, რომ სტუდენტები შესაბამისი ეპოქის მათთვის საინტერესო ნაწარმოებებს გაეცნობოდნენ. მას აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ „ლიტერატურა და ხელოვნება“ ზოგადსაუნივერსიტეტო საგანია, რომლის ფარგლებში სტუდენტი თავად ირჩევს ნაწარმოებს და ახორციელებს მის რეფლექსიას. მისივე განმარტებით, ნაწარმოების შერჩევაც სასწავლო პროცესის ნაწილია.
მარინა ქარჩავამ აღნიშნა, რომ აღნიშნული ნაწარმოები შესაძლოა იყოს კონკრეტული ეპოქის შენობა-ნაგებობაც.
მარიამ მოქიამ აღნიშნა, რომ კურსში „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ მითითებულია როგორც ნორმატიული მასალები, ისე საერთაშორისო დოკუმენტები, სასამართლო პრაქტიკა და საერთაშორისო ლიტერატურა. რაც შეეხება კურსს „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში“, მასში ჩართულია ქართულენოვანი რიდერები. მისივე თქმით, ენის ფლობასთან დაკავშირებული პრობლემები პრაქტიკაში არასდროს წარმოშობილა.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ დაწესებულება სტუდენტებს ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების შესაძლებლობასაც სთავაზობს, შესაბამისად, ენასთან დაკავშირებული პრობლემები არ შექმნილა.
რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება შეზღუდული არ არის და ლექტორს უფლება აქვს, სასურველი მასალა სილაბუსში შეიტანოს. მისივე თქმით, უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებამ შესაძლოა გარკვეული დისკომფორტი გამოიწვიოს, თუმცა ქართულ აკადემიურ სივრცეში ყოველთვის არ არის შესაძლებელი თანამედროვე ლიტერატურის მოძიება ქართულ ენაზე, განსაკუთრებით ვიწრო სპეციალიზაციის სფეროებში.
აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, მარინე რუხაძემ, აღნიშნა, რომ ბუნებისმეტყველების საგანში ფართოდ არის წარმოდგენილი ფიზიკა და ბიოლოგია, თუმცა ქიმია, გეოგრაფია და გეოლოგია საერთოდ არ არის გათვალისწინებული. მას აინტერესებდა აღნიშნულის მიზეზი.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ესეც ზოგადსაუნივერსიტეტო საგანია, რომელიც შეკვეცილ პროგრამაში საერთოდ ამოღებულია. მისი განმარტებით, აღნიშნული კურსი მიზნად ისახავს სტუდენტის იმ ცოდნის შევსებას, რომელიც მას შესაძლოა სკოლაში არასაკმარისად ჰქონდეს მიღებული.
მარინა ქარჩავამ აღნიშნა, რომ აღნიშნული კურსის საშუალებით სტუდენტებს უკეთ ესმით, როგორ არის მოწყობილი გარე და ბიოლოგიური სამყარო.
მარინე რუხაძემ აღნიშნა, რომ სასამართლო ექსპერტიზის მიმართულებით ქიმიის სიღრმისეული ცოდნა აუცილებელია.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი აღნიშნულ მიმართულებას აირჩევს, მას ექნება შესაძლებლობა, აღნიშნული დისციპლინები უფრო სიღრმისეულად შეისწავლოს.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ეკა კაველიძემ, აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები წარმოდგენილია ორ სასწავლო კურსად. ერთი არის შესავალი კურსი, ხოლო მეორე - „ადამიანის უფლებები და თავისუფლებები“. ამ ორ საგანს განსხვავებული მიზნები და სწავლის შედეგები აქვს. პირველი კურსი თეორიული და აღწერილობითი ხასიათისაა და შესაბამისი ლიტერატურაც მითითებულია. მეორე კურსში, რომელიც კონკრეტული უფლებების პრაქტიკულ რეალიზაციას ეხება, წარმოდგენილია სასამართლო გადაწყვეტილებები და ნორმატიული მასალა, რადგან საკითხები სასამართლო პრაქტიკის ჭრილში განიხილება. შესაბამისად, ეს საგნები ერთმანეთის შინაარსს არ ფარავს.
აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, ფრიდონ გოგიაშვილმა, პერსონალთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას აკადემიურ პერსონალთან მიმართებით განსაზღვრული აქვს სტრატეგია და სხვადასხვა პროგრამისთვის სხვადასხვა პროცენტული მაჩვენებელი მოქმედებს. მას აინტერესებდა, რა ხედვა ჰქონდა დაწესებულებას აღნიშნულ ორ პროგრამასთან დაკავშირებით.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ეს საკითხი დეტალურად არის ასახული უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიაში, რომელიც ვებგვერდზეა განთავსებული და მუდმივად ახლდება.

მისი განმარტებით, დაწესებულება პროგრამებს ყოფს მეცნიერებაზე ორიენტირებულ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ პროგრამებად. სამართლის პროგრამები ამ შემთხვევაში პრაქტიკაზე ორიენტირებულ კატეგორიას მიეკუთვნება.
აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, თეა ნარეკიშვილმა, აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მეთოდოლოგია ორნაწილიანია: საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასება ფასდება 70 ქულით, ხოლო ზეპირი წარდგენა - 30 ქულით. ამასთან, წარმოდგენილია კალენდარული გეგმაც, სადაც დეტალურად არის მითითებული, დროის რომელ მონაკვეთში რა ფასდება. პირველ ივნისს მითითებულია ნაშრომის მომზადების ეტაპი, რომელიც 70 ქულით ფასდება, ხოლო 15 ივლისს - წარდგენა. მას აინტერესებდა, ხომ არ იყო აღნიშნული პერიოდი ზედმეტად მოკლე ნაშრომის სრულფასოვანი ანალიზისთვის.
მარიამ მოქიამ აღნიშნა, რომ 15 ივნისისთვის სრულდება საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი, რომლის განმავლობაში სტუდენტი მუდმივ კომუნიკაციაშია ხელმძღვანელთან. ამის შემდეგ კი ტარდება დაცვა.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასება საკმაოდ პირობითი ხასიათისაა. სტუდენტს სამი თვე ეძლევა ნაშრომის პირველი თავის მოსამზადებლად, თუმცა ეს არის მიმდინარე სამუშაო პროცესი და ამ დროისთვის პირველი თავისთვის საჭირო მასალაზე გაცილებით მეტი რესურსიც შეიძლება ჰქონდეს დამუშავებული. 15 ივლისს ხდება ნაშრომის წარდგენა, რის შემდეგაც ინიშნება ზეპირი მოსმენები.
მარიამ მოქიამ აღნიშნა, რომ შეფასების 70% ეთმობა მთლიანად ნაშრომის შეფასებას და არა მხოლოდ პირველ თავს, ხოლო დარჩენილი 30% - ნაშრომის წარდგენას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:14
დასრულების დრო: 13:43

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2033 წლის 07 სექტემბრამდე).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2033 წლის 07 სექტემბრამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ბიზნესის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2033 წლის 07 სექტემბრამდე).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ბიზნესის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2033 წლის 07 სექტემბრამდე.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები.

1. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

1. დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებში.

1. „სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილება:

ა) 1.5 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია- "რეკომენდებულია, სილაბუსებში მითითებული სასწავლო ლიტერატურა გადაიხედოს და სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიეთითოს თანამედროვე ქართულენოვანი ლიტერატურა." აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და1.5 ქვე-სტანდარტი ნაცვლად" შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც" მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან". ამ ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანად პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიოლოგია;
საფეხური: დოქტურანტურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიოლოგიის დოქტორი;
დეტალური სფეროს კოდი: 0913 ბიოლოგია;
კრედიტების რაოდენობა: 60 კრედიტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა გიორგი წანაწყენიშვილმა და ინგა დიასამიძემ. საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია. ექსპერტმა, მაგდა ალანიამ, აღნიშნა, რომ აკრედიტაცია პროგრამამ მიიღო 2021 წელს და დოკუმენტებიც ვადაში იყო წარმოდგენილი. ძირითადად, პროგრამა აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ექსპერტებს შენიშვნა ჰქონდათ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გრამატიკულ ფორმასთან, რადგან მომავლის პერსპექტივით სასურველია, რომ აწმყოს დროით იყოს წარმოდგენილი შედეგები. ასევე, სამომავლოდ სწავლის შედეგებში შავი ზღვის ფლორა და ფაუნა უფრო სიღრმისეულად თუ იქნება წარმოდგენილი, უკეთესი იქნება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა, აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:45
დასრულების დრო: 13:51

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მესამე საკითხი: შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის (ეპდს)" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული პროცესი).

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დიპლომირებული მედიკოსის (ეპდს);
საფეხური: ერთსაფეხურიანი;
სწავლებისენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი;
დეტალური სფეროს კოდი: 0912 მედიცინა;
კრედიტების რაოდენობა: 375.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია. ექსპერტმა, დავით ჯიქიამ, აღნიშნა, რომ პროგრამა აკრედიტირებულია 7 წლით და ვადის გასვლის თარიღია 2026 წლის 4 ივნისი. პროგრამის შეფასება განხორციელდა დისტანციურად,

ვიზიტის გარეშე. სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით. აღინიშნა, რომ ყველა სტანდარტი შესაბამისობაშია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს დამატებითი მოსაზრებების არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:55
დასრულების დრო: 13:57

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის (ეპდს)" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის (ეპდს)" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის (ეპდს)" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მათემატიკა;
საფეხური: დოქტორანტურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მათემატიკის დოქტორი;
დეტალური სფეროს კოდი: მათემატიკა 0541;
კრედიტების რაოდენობა: 45.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა ფრიდონ გოგიაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია. ექსპერტმა, გიორგი ტეფნაძემ, აღნიშნა, რომ ერთადერთი რეკომენდაცია დარჩა ძალაში სლოტებთან დაკავშირებით. დანარჩენ შემთხვევაში მინიმალური შეფასების ზღვარი დაიხვეწა და ყველა საკითხი შეასრულა ხარისხის გუნდმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 14:00
დასრულების დრო: 14:02

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამხედრო ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული პროცესი).

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამხედრო ინჟინერია;
საფეხური: დოქტორანტურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი;
დეტალური სფეროს კოდი: 1031 სამხედრო საქმე და თავდაცვა;
კრედიტების რაოდენობა: 45.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა ვალერიან გობრონიძემ, ნინო ხოლუაშვილმა, შალვა კელეპტრიშვილმა, ლევან ციცქიშვილმა, მაია ბარბაქაძემ და თეა ნარეკლიშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია. ექსპერტმა, ნინო ქიმერიძემ, აღნიშნა, რომ პროგრამა წარმოდგენილი იყო კლასიფიკატორის შესაბამისობის დადგენის მიზნით. პროგრამას 2019 წელს აქვს გავლილი აკრედიტაცია. ამის შემდგომ, მოხდა კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები და პროგრამაც გაჰყვა ამ ცვლილებებს. შეიცვალა სახელწოდება, მისანიჭებელი კოდი, შეიცვალა კრედიტების მოცულობაც, შეიცვალა ასევე დაშვების წინაპირობები. პირველ სტანდარტში დადგინდა

მეტწილი შესაბამისობა, მეოთხე იყო ნაწილობრივი და მეორე იყო სრულ შესაბამისობაში. რეკომენდაციები გაიცა 1.1 სტანდარტში, ასევე 1.2 სტანდარტში, სწავლის შედეგები უნდა გაყოლოდა მერვე პროგრამისთვის არსებულ მნიშვნელოვან შედეგებს, მასში უნდა ასახულიყო სიღრმისეული დეტალები, რაც მოეთხოვება მერვე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. ასევე, მნიშვნელოვანი იყო მიზნებსა და შედეგებს შორის გარკვეულწილად ყოფილიყო თანხვედრა. ასევე, სამ კომპეტენციაზე უნდა გაწერილიყო შედეგები. 4.1 კომპონენტში რეკომენდირებული იყო პროგრამაში ჩართულიყვნენ დარგის წარმომადგენლები. 4.3 ში იყო რეკომენდაცია, რომ ციფრების შესაბამისად მოეხდინათ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება და მათი მხარდაჭერა დარგობრივი ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორი პერსონალის CV-ების გაცნობის შემდეგ, დარგობრივი ნაშრომები დასტურდება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული აქვთ, პროგრამა არის უნიფიცირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, დაწესებულებას მიმართა კითხვით - მას სურდა დაეზუსტებინა, გათვალისწინებული თუ ჰქონდათ რეკომენდაციები და თუ დაამტკიცებენ აღნიშნულს შემდეგი საბჭოს სხდომაზე. დაწესებულების წარმომადგენელი, ივანე ჯაგოდნიშვილი დაეთანხმა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:11
დასრულების დრო: 14:13

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამხედრო ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის პროცესში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამხედრო ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვროს 60 კალენდარული დღე, დოკუმენტების ხელახლა წარმოსადგენად და ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსასწორებლად.

მეექვსე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: I ნაწილი - მენეჯმენტის მაგისტრი; II ნაწილი - კვლევის მაგისტრი მენეჯმენტში;
დეტალური სფეროს კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
კრედიტების რაოდენობა: I ნაწილი - 60 ECTS კრედიტი; II ნაწილი - 60 ECTS კრედიტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა, აღნიშნა, რომ გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა 25 მაისს, სადაც შემოწმდა 1-ლი, მე-2, მე-4 და მე-5 სტანდარტები. რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა გარკვეული შედეგების ფორმულირებას და ასახვას პროგრამის შედეგებში, განსაკუთრებული აქცენტი იყო გაკეთებული პროექტის მართვასა და კვლევით მიმართულებაზე. აღნიშნული საკითხი სხვადასხვა რეკომენდაციებში ფიგურირებდა, მათ შორის, სასწავლო კურსის შემოღების საკითხში. ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია და ყველა რეკომენდაცია ჰქონდა დაწესებულებას შესრულებული. ბიუჯეტის მუხლები დეტალურად იქნა ჩაშლილი, შემოღებულ იქნა ის სასწავლო კურსები, რომელიც პროგრამის განვითარებას ემსახურება და წარმოდგენილი იქნა ის რუქა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს დარგობრივ და პროგრამის სწავლის შედეგებს. ექპერტებმა შეისწავლეს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხიც, რაც უმაღლეს დონეზე იყო წარმოდგენილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:18
დასრულების დრო: 14:21

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობით მე-7 და მე-8 საკითხის ზეპირი მოსმენა გაიმართა ერთად.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

მერვე საკითხი: სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში;
დეტალური სფეროს კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
კრედიტების რაოდენობა: 180 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სპორტის მენეჯმენტი;
საფეხური: მაგისტრატურა;

სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: I ნაწილი - სპორტის მენეჯმენტის მაგისტრი; II ნაწილი - კვლევის მაგისტრი სპორტის მენეჯმენტში;
დეტალური სფეროს კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
კრედიტების რაოდენობა: I ნაწილი - 60 ECTS კრედიტი; II ნაწილი - 60 ECTS კრედიტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე და მერვე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, დავით სიხარულიძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 30 აპრილს. ინტერვიუები ჩატარდა ყველა დაინტერესებულ პირთან. შეფასდა პირველი, მეორე და მესამე სტანდარტები. სამივე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მიუხედავად ამისა, საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაიცა რეკომენდაციები. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების რუკის გადახედვა და გაუმჯობესება როგორც სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართების სიზუსტის, ასევე „გაცნობა — გაღრმავება — განმტკიცება" პრინციპის ლოგიკური გამოყენების თვალსაზრისით. ასევე, რეკომენდირებულია, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსად დაემატოს სასწავლო კურსი ,,აკადემიური წერა". სამაგისტრო პროგრამაზეც შეფასდა 3 სტანდარტი და სამივე შესაბამისობაშია, თუმცა, გაიცა ერთი რეკომენდაცია, სადაც რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის გადახედვა და გაუმჯობესება, როგორც სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართების სიზუსტის, ასევე „გაცნობა - გაღრმავება - განმტკიცება" პრინციპის ლოგიკური გამოყენების თვალსაზრისით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლენლებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, შალვა კელეპტრიშვილმა, აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაში ძირითადი სასწავლო კურსები არის 75 კრედიტის მოცულობის და არც ერთ სასწავლო კურსს არ აქვს წინაპირობა. მას აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ, აღნიშნა, რომ მონიტორინგის პერიოდში, დაწესებულება პარალელურად მუშაობდა საბაკალავროს 180 კრედიტიან პროგრამაზე და სამაგისტროს 1+1-ზე, სადაც ექსპერტების რეკომენდაციები მნიშვნელოვანი იყო. ყველა რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია.
შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ ლიტერატურა სილაბუსებში ჩანაცვლებულია ინგლისურენოვანით და მას აინტერესებდა ამის მიზეზი.
მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ ამ კონცეფციით მხოლოდ ამ დაწესებულებაში ხდებოდა პროგრამის განხორციელება, შესაბამისად, ქართულ რეალობაში არ არსებობს ქართული ლიტერატურა. თუმცა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა შეიმუშავა "რიდერები" ქართულ ენაზე.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ სტატისტიკის სილაბუსი და შინაარსი არ არის თანხვედრაში. პირველ სამ ლექციაში ისეთი ცნებებია განაწილებული, რომ მათი საფუძველი არსად ფიქსირდება. ის სათაური და შედეგები, რომლებიც მითითებულია, ვერანაირად გავა შედეგზე.
ექსპერტმა, დავით სიხარულიძემ, აღნიშნა, რომ არის წიგნი, რომესლაც იყენებენ ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით სტუდენტებისთვის.
პეტრე ბაბილუამ აღნიშნა, რომ შინაარსის მიხედვით კურსი გაყოფილი უნდა იყოს და ცალკე უნდა იყოს საფუძვლები.
დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ წინაპირობად ასწავლიან კალკულუსს.
პეტრე ბაბილუამ აღნიშნა, რომ არ არის საკმარისი კალკულუსი ამ კურსის წინაპირობად.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვასილ ლიპარტელიანმა, აღნიშნა, რომ ეთანხმება ამ მოსაზრებას და სამწლიანზე გადასვლისას შესაძლოა სილაბუსი გადაეწყოს სხვანაირად.
საბჭოს წევრს, მაია ბარბაქაძეს, აინტერესებდა სპორტის ბიზნესის კუთხით რა განსხვავება იყო სხვა ბიზნესის ფაკულტეტებთან.
ვასილ ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ აქ საუბარი არ არის მხოლოდ სპორტულ ობიექტებზე, აქ საუბარია სახელმწიფოს სპორტულ ორგანიზაციებზე და ყველა იმ კლუბსა და ასოციაციაზე, რომელიც არსებობს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:38
დასრულების დრო: 14:41

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეცხრე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული პროცესი).

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში;
დეტალური სფეროს კოდი: 0715 მექანიკა და ლითონის საქმე;
კრედიტების რაოდენობა: 240 კრედიტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს მდივანმა ვაჟა კელიხაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან. საბჭოს მდივნის მოვალეობა შეასრულა ქეთევან აფთარაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ შეფასდა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები. გაიცა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც მეოთხე სტანდარტშია და ეხება სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებიც არ ფიქსირდებოდა ან ნაკლებად ფიქსირდებოდა. იგივე საკითხი ფიქსირდებოდა აკრედიტაციაზეც, თუმცა, მაშინ არ გაცემულა რეკომენდაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრს, ქეთევან აფთარაშვილს, აინტერესებდა საიდან გამომდინარეობდა რეკომენდაცია, რომელიც გაიცა. განახლებელი CV-ების საფუძველზე მოხდა ეს თუ არა.
ექსპერტმა დაუდასტურა, რომ CV-ები რადგან არ იყო განახლებული, გაიცა რეკომენდაცია.
საბჭოს წევრმა, შალვა კელეპტრიშვილმა, აღნიშნა, რომ უპილოტო საფრენი აპარატურის კურსი არის თავისუფალ არჩევითი. ასევე, შრომის უსაფრთხოებაც არის თავისუფალ არჩევითში და მას აინტერესებდა ამის მიზეზი.
ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა, აღნიშნა, რომ ეს პროგრამები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტთან, რომლის წევრებიც არიან. არის კურსების ჩამონათვალი, რომლის იქეთაც დაწესებულება ვერ წავა. თუ გადავლენ ამ ჩარჩოდან, მაშინ სერთიფიკატი აღარ გაიცემა. რამდენიმე ლექტორს სერთიფიკატის ვადა უკვე გასული უნდა ჰქონდეს ამ მონაცემებით და შალვა კელეპტრიშვილს აინტერესებდა რამდენად განახლდა ისინი.
მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ მათი განახლების გარეშე სტუდენტებს ვერ მიიღებენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ღაჭავამ, აღნიშნა, რომ ეს ანგარიში წარმოდგენილი იყო 2022 წელს. ექპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხება პუბლიკაციებს, ფართო დონეზე დაწესებულება იზიარებს, იქიდან გამომდინარე, რომ ყოველთვის საჭიროა ამ მიმართულებით მუაობა, თუმცა, 2021 წელს იმიტომ ფიქსირდებოდა ბოლო პუბლიკაციები, რომ 2022-ში მოხდა ანგარიის წარდგენა. ლექტორებს ახალი პუბლიკაციები აქვთ და რეაკრედიტაციის დროს ყველაფერი დეტალურად იქნება წარმოდგენილი. ასევე, მუდმივად ხდება სერთიფიკატების განახლება.
დაწესებულების წარმოამდგენელმა, დავით ტეფნაძემ, აღნიშნა, რომ წელს უწევდა ამ პროგრამას რეაკრედიტაცია, აკრედიტაციის შემდეგ ბევრი ცვლილება განიცადა პროგრამამ.
საბჭოს წევრმა, თეა ნარეკლიშვილმა, აღნიშნა, რომ სილაბუსებში ლიტერატურა საკმაოდ მოძველებულია და აუცილებელია განახლება. ასევე, შედეგების რუქაც ცოტა შესაცვლელია.
დავით ტეფნაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა ემზადება აკრედიტაციისთვის და ყველა ეს ნიუანსი გათვალისწინებულია.

საბჭოს წევრმა, თამარ მერაბიშვილმა, აღნიშნა, რომ ინგლისური ენის B2 დონის ზღვარი არის 14 ქულა და აინტერესებდა, გამოცდაც და სტატიის წარდგენაც ერთი და იგივე ქულით ფასდებოდა თუ არა.
მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ ინგისურის დონე საკმაოდ მაღალი ჰქონდათ სტუდენტებს.
ნინო ღაჭავამ აღნიშნა, რომ დაწესებულება ცდილობს მიდგომა იყოს უნიფიცირებული და ერთიანი. რუბრიკების განახლება მუდმივად ხდება დაწესებულებაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:00
დასრულების დრო: 15:02

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.
ოქმში ნახსენები რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევაში და დაკორექტირდა შემდეგი სახით:
"სასურველია, რომ ინსტიტუციას ჰქონდეს CV-ების სტანდარტიზებული ფორმა, რომელშიც ყველა ინფორმაციის გადატანა იქნება აუცილებელი. ამასთანავე, პერსონალის მხრიდან წარმოდგენილი CV- ების ნაწილში, არ არის მითითებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევები და გამოქვეყნებული სტატიები, რაც შესაძლებელს გახდიდა ბოლო წლების სამეცნიერო აქტივობების სრული სურათის ასახვას."

მეათე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფინანსები;
საფეხური: მაგისტრატურა;

სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: I ნაწილი - ფინანსების მაგისტრი; II ნაწილი - კვლევის მაგისტრი ფინანსებში ;
დეტალური სფეროს კოდი: 0412 ფინანსები;
კრედიტების რაოდენობა: I ნაწილი - 60 ECTS კრედიტი; II ნაწილი - 60 ECTS კრედიტი.

მეთერთმეტე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფინანსები;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: I ნაწილი - ფინანსების მაგისტრი; II ნაწილი - კვლევის მაგისტრი ფინანსებში ;
დეტალური სფეროს კოდი: 0412 ფინანსები;
კრედიტების რაოდენობა: I ნაწილი - 68 ECTS კრედიტი; II ნაწილი - 60 ECTS კრედიტი.

საბჭოს თავმჯდომარის თანხმობით, მეათე და მეთერთმეტე საკითხები საბჭომ განიხილა პარალელურად.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა გიორგი წანაწყენიშვილმა და ნინო ხოლუაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეათე და მეთერთმეტე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, თამარ კბილაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარდგენილი ჰქონდა რეკომენდაციები პირველ, მეოთხე და მეხუთე სთანდარტში. მათ სრულად შეასრულეს რეკომენდაციები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:06
დასრულების დრო: 15:11

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 15:12 საათზე.

საგანმნათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე